

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

საქართველოს მთავრობას, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციას“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 14 ივლისს ჰიდროელექტროსადგურ „ნატანები 1“-ის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის შეწყვეტის თაობაზე

ქ. თბილისი

7 სექტემბერი, 2016 წ.

წინამდებარე შეთანხმება დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

საქართველოს მთავრობა, წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის მიერ;

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“, ს/კ: 230866783, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, გიორგი ყაველაშვილის მიერ;

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, ს/კ: 204995176, წარმოდგენილი რეაბილიტაციის მმართველის/მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის, სულხან ზუმბურიძის მიერ;

სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო“, ს/კ: 211324468, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, რომეო მიქაუტაძის მიერ;

შპს „ენერგოტრანსი“, ს/კ: 204991786, წარმოდგენილი დირექტორის, კახა სეხნიაშვილის მიერ;

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“, ს/კ: 205170036, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ვახტანგ ამბოკაძის მიერ.

ვინაიდან, საქართველოს მთავრობას, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციას“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 14 ივლისს დაიდო ურთიერთგაგების მემორანდუმი ჰიდროელექტროსადგურ „ნატანები 1“-ის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ (შემდგომში - „მემორანდუმი“);

ვინაიდან, კომპანიამ შეასრულა მემორანდუმით გათვალისწინებული წინასაშენებლო ფაზის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებები, მათ შორის, მოამზადა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წარუდგინა ელექტროსადგურის მშენებლობის

განხორციელებადობის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები;

ვინაიდან, ელექტროსადგურის მშენებლობის განხორციელებადობის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შედეგების საფუძველზე, აღმოჩნდა რომ ელექტროსადგურის მშენებლობა და ოპერირება კომპანიისთვის არ არის ტექნიკურად და ეკონომიკურად მიზანშეწონილი, რის გამოც კომპანიამ, მემორანდუმის 3.3 პუნქტის შესაბამისად, უარი თქვა პროექტის განხორციელებაზე;

აქედან გამომდინარე, მხარეები დებენ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგი პირობებით:

1. შეწყდეს მემორანდუმი წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერის მომენტიდან, ამ შეთანხმების მე-2 მუხლით გათვალისწინებული პირობებით.
2. მემორანდუმის შეწყვეტაგამოიწვევს შემდეგს:
 - 2.1. მემორანდუმის შეწყვეტისთანავე, სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცემა უფლებები (მათ შორის, საკუთრების უფლება) პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც გადაცემის მომენტისთვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო;
 - 2.2. კომპანიას ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება მემორანდუმის შეწყვეტისთანავე;
 - 2.3. კომპანიის ხელთ არსებულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა და გარემოზე ზემოქმედების ანგარიშებზე, ისევე, როგორც პროექტთან დაკავშირებულ, მათ შორის, კომპანიის მიერ შემუშავებულ, სხვა ნებისმიერ დოკუმენტსა და ნახაზზე ექსკლუზიური საკუთრების უფლება უსასყიდლოდ გადაეცემა მთავრობას მემორანდუმის შეწყვეტისთანავე;
3. კომპანია უარს ამბობს მემორანდუმის 8.4.4 მუხლით განსაზღვრული უფლების გამოყენებაზე, როგორც შეთანხმების ხელმოწერის ეტაპზე, ისე, მომავალში, ნებისმიერ დროს. შესაბამისად, კომპანია არ გამოიყენებს უფლებას საინვესტიციო ხარჯის ანაზღაურებაზე საქართველოს მთავრობის ან/და მემორანდუმის სხვა მხარეების წინაშე.
4. მხარეები აცნობიერებენ და ადასტურებენ, რომ მემორანდუმი წყდება კომპანიის მოთხოვნის საფუძველზე, შესაბამისად, კომპანია ადასტურებს, რომ არ აქვს და არც მომავალში ექნება მემორანდუმიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებული მოთხოვნები/უფლებები, საქართველოს მთავრობის ან/და მემორანდუმის სხვა მხარეების წინაშე.
5. შეთანხმების ხელმოწერიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში კომპანიას უნდა დაუბრუნდეს მის მიერ წინასამშენებლო ფაზის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად მთავრობის სასარგებლოდ წარდგენილი გარანტია 36 000 (ოცდათექვსმეტი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით.
6. წინამდებარე შეთანხმება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ნებისმიერ დავა, რომელიც წარმოიშვება წინამდებარე შეთანხმებიდან ან/და მასთან კავშირში, გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

7. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან. იგი შედგენილია ქართულ ენაზე ექვს თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.

მხარეთა ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“

გიორგი ყავეციანი

სს „საქართველოს საერთაშორისო ელექტროსისტემა“

სულხან ზუბაბაძე

სს „გაერთიანებული ენერჯიტიკის სისტემა საქრუსენერგო“


რომეო შიქაუტაძე

შპს „გერგოტრანსი“

კახა მგინიბერიძე

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“

ვახტანგ ამბოკაძე





საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1802 2016 წლის 7 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციას“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 14 ივლისს „ნატანები 1“ ჰიდროელექტროსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე


1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციას“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები შეთანხმება, ამავე მხარეებს შორის 2015 წლის 14 ივლისს „ნატანები 1“ ჰიდროელექტროსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის შეწყვეტის თაობაზე.

2. შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკულ კორპორაციას“ დაუბრუნდეს, ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული მემორანდუმის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ წარმოდგენილი წინასამშენებლო საბანკო გარანტია 36,000.00 (ოცდათექვსმეტი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით.

3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტში მითითებული წინასამშენებლო საბანკო გარანტიის დაბრუნების თაობაზე გარანტიის გამცემ ბანკში წარსადგენ შესაბამის წერილზე, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრს კახა კალაძეს.

4. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვიციანი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010174176067516

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ. 24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№5384

15 / აგვისტო / 2016 წ.

საქართველოს ენერგეტიკის
მინისტრის მოადგილეს,
ბატონ ირაკლი ხმაღამეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2016 წლის 9 აგვისტოს №04/3206 წერილით წარმოდგენილი საქართველოს შთავრობას, შპს „ენერჯი სოლუშენს ნატანებსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 23 ივნისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ცვლილების შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ალექსანდრე ბარამიძე



ენერჯოტრანსი

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2/ 2 Baratashvili str. Tbilisi 0105, Georgia ტელ./ფაქსი/tel./fax: +995(32)2510140

26/08/2016

N 485

485-01-2-201608261219




საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს

თქვენი 2016 წლის 05 აგვისტოს #04/3106 წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ შპს "ენერჯოტრანსმა" განიხილა საქართველოს მთავრობას, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკულ კორპორაციას“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერგოს“, შპს „ენერჯოტრანსსა“ და სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,
კახა სეხნიაშვილი

დირექტორი



ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/895
09/08/2016

895-01-2-201608091453



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის

მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმაღამეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2016 წლის 5 აგვისტოს #04/3106 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორმა კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში განიხილა საქართველოს მთავრობას, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციას“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 14 ივლისს ჰიდროელექტროსადგურ „ნატანები 1“-ის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

ვახტანგ ამბოკაძე

გენერალური დირექტორი

OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“
რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახელო ინსპექციის მიერ 07.08.2006; საიდ. კოდი 205170036


ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2006; ID CODE 205170036

საქრუსენერგომ

სს გაერთიანებული ენერჯეტიკის სისტემა

SAKRUSENERGO

JSC UNITED ENERGY SYSTEM



N/711

26/08/2016

711--2-201608261231



საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს

სს გეს „საქრუსენერგომ“ განიხილა თქვენი 05.08.2016 წლის N04/3106 წერილით წარმოდგენილი შეთანხმების პროექტი და გაცნობებთ, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით შენიშვნები არ გაგვაჩნია.

რომეო მიქაუტაძე

გენერალური დირექტორი



3982-07-2-201608091249

N 3982/07

09/08/2016

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ განიხილა თქვენი 05.08.2016წ. #04/3106 წერილით წარმოდგენილი „საქართველოს მთავრობას, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკულ კორპორაციას“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 14 ივლისს პიდროელექტროსადგურ „ნატანები 1“-ის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის შეწყვეტის თაობაზე“ გასაფორმებელი შეთანხმების პროექტი და გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

გიორგი შარკოვი

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი